

საქართველოს
მართლმადიდებელ
ეკლესიასთან
არსებული
ქრისტიანული
კვლევის
საერთაშორისო
ცენტრი

ა
ტ ბ
ა

დეკანოზი ზურაბი (მჭედლიშვილი)

სამართლისა და ზნეობის ურთიერთმიმართება წარსულსა და დღევანდელობაში

1. ზოგადი ნაწილი – სამართალსა და ზნეობას შორის არსებული ურთიერთობის სხვადასხვა თეორია

ერთ-ერთი, ყველაზე მიღებული თეორიის მიხედვით, სამართალი განიხილება, როგორც ზნეობის განმსაზღვრელი მინიმუმი. რუსი ფილოსოფოსი სოლოვიოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამართალი თავისი არსით, წარმოადგენს ნორმათა რეალიზაციის შედეგს, ანუ ემსახურება ზნეობის მინიმალურ განხორციელებასა და ბოროტების აღმოფხვრას. თუმცა ადამიანის სულიერ მდგომარეობასა და მის ცნობიერებაზე არის დამოკიდებული ის, აისახება თუ არა ზნეობრივი ღირებულებები სამართალშემოქმედებაში.

2. ეკლესიის მონაწილეობა ქართული საერო სამართლის შემუშავებაში

ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, ეკლესია სახელმწიფო ყოფა-ცხოვრების ძლიერ ფაქტორად ითვლებოდა და ერის საერო სამართლის ძეგლთა შექმნაში განსაკუთრებული და უპირატესი როლი მას ეკავა, მაშინ ეკლესია სახელმწიფოს ცხოვრების ძლიერ ფაქტორად ითვლებოდა და ერის მთელ აზროვნებაზე დიდი გავლენა ჰქონდა და განსაკუთრებული უფლებები უპირატესობით იყო მოსილი. ამრიგად, საეკლესიო წეს-წყობილებამ სახელმწიფო და სოციალურ წესზე თვალსაჩინო კვალი დატოვა.

რადგან იმ პერიოდში კანონებს მეფის მიერ მოწვეული სამღვდელოებისა და მაღალი წოდების მოხელეების წარმომადგენელთა კრება, ან სახელმწიფო დარბაზი ადგენდა ხოლმე, ეკლესიას უდიდესი გავლენა ჰქონდა სისხლისა და სამოქალაქო სამართალზე და მიღებულ

კანონებში აისახებოდა ქრისტიანული ზნეობრივი ღირებულებები.

3. სამართლისა და ზნეობის ურთიერთობის საკითხი სახელმწიფოს რელიგიისგან დაშორების შემდეგ

უძველეს ხანაში სამართალი და ზნეობა მჭიდრო ურთიერთობაში იყო. შემდეგ კი, როცა ცივილიზაციური პროცესი განვითარდა და მოქალაქეობრივი ცხოვრება გართულდა, სამართალი და ზნეობა ერთმანეთს დაშორდა და კანონმდებლურ სამართლად გადაიქცა. რაც უფრო დაშორდა სახელმწიფო ინსტიტუტი რელიგიას და გაემიჯნა მას, ადამიანის ცნობიერებაში წინა პლანზე წამოიწია რელიგიისა და ზნეობის ერთმანეთისგან გათიშვის მცდელობამ. რელიგია და ზნეობა ერთმანეთთან ბუნებრივ კავშირშია, მაგრამ ათეიზმის გაძლიერების ხანაში ადამიანი შეეცადა იმის მტკიცებას, თუ რამდენად შესაძლებელი იყო რელიგიისგან დამოუკიდებლად მორალის არსებობა. ყოველივე ამან შვა ტოტალიტარული სახელმწიფოები მთელ მსოფლიოში, რომლებმაც მთლიანად გამიჯნა ადამიანი რელიგიისგან. ეს პროცესი დღემდე გრძელდება, რადგან სამართალშემოქმედება ადამიანის მსოფლმხედველობაზეა დამოკიდებული.

4. სამართლისა და ზნეობის ურთიერთდამოკიდებულება დღეს. რამდენად აისახება დღევანდელ კანონებში სულიერი ფასეულობები

დღეს მსოფლიოში სულ უფრო და უფრო მეტი მობროვნე ადამიანი თვლის, რომ სახელმწიფოსგან რელიგიის უხეში გამიჯნვა უნდა შეიცვალოს სულიერი ფასეულობების ასახვით სამართალშემოქმედებაში.

საქართველოში პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწეები ქვეყნის ინტელექტუალურ ელიტასთან ერთად ეძებენ გზებს, რათა ჩვენი სახელმწიფოებრივი მშენებლობა განვითარდეს სულიერი და ზნეობრივი ფასეულობების გათვალისწინებით.